ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1858374

ნომერი: AR1302866

თარიღი : 20.04.2015

გაცემის თარიღი : 27.04.2015

გაცნობის თარიღი : 27.04.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N7 , (ნაკვეთი N38/43) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა გიორგაძე პ/ნ 01001010465
- თბილისი ს.ქურდიანის I შეს. N 4

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1302866 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, #01.16.02.038.072 საკადასტრო ერთეულზე მშენებლობის პროცესს.

გაცნობებთ, რომ ქალაქი თბილისში, ც. დადიანი, №7, (ნაკვეთი №38/43)/ქ. თბილისი, ქუჩა ც. დადიანი, №7, შპს "ლიტ

ჯეო ინვესტი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.16.02.038.072), სამსახურის მიერ 2015 წლის 04 აპრილის №1760139
ბრძანებით შეთანხმებულია გრგ–ს მიხედვით მე–2 სექტორში, კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის "ბ" ბლოკის მშენებლობისათვის.

ამასთან გაცნობებთ, რომ 2015 წლის 07 აპრილის AR1300124 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ვალერი გელაშვილმა და მოითხოვა აღნიშნულ სამართლებრივ აქტში ცვილილების შეტანა, რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს
ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ვინაიდან ნებართვა სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge)
ინტერაქტიული რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და
ძიებაში მიუთითოთ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის ან/და სამსახურის პასუხის ძიებაში #AR1285476, AR1300124 განაცხადის ნომრების მითითების შემთხვევაში.

სამსახურის მიერ (№1760139 ბრძანება) აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.
თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ
პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან
ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან საქმისწაროებას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის 2012-2014 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (tas.ge) და არის საჯარო. დაინტერესებაში არსებული ობიექტის შესახებ ინფორმაცია
შეგიძლიათ იხილოთ სამსახურის ვებ-გვერდის მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში საკადასტრო კოდის (#01.16.02.038.072) მითითების შემთხვევაში.